



საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია

**როგორ მივიღოთ პროექტის
ექსპორტ-იმპორტის ნაბიჯი**

გზამკვლევი

თბილისი
2 0 0 4

წინასიტყვაობა

გზამკვლევი „როგორ მივიღოთ ნებართვა ექსპორტ-იმპორტის სფეროში“ მომზადებულია ნებართვის მიღების მსურველი პირებისთვის ინფორმაციული დახმარების გაწევის მიზნით. მისი ძირითადი დანიშნულებაა ნებართვის გაცემის პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, ნებართვის გაცემაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობების აღწერა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანერგვის ხელშეწყობა.

გზამკვლევი დეტალურადაა გაწერილი ის პირობები და პროცედურები, რომლებიც საჭიროა ექსპორტ-იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის სფეროში ნებართვის მისაღებად, ასევე მის გაცემაზე უარის თქმის, შეჩერების, გაუქმებისა და გასაჩივრების საფუძვლები. გზამკვლევი დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას არა მხოლოდ ნორმატიული ბაზის მხრივ, არამედ მისი პრაქტიკული რეალიზაციის კუთხითაც, როგორცაა წარსადგენი დოკუმენტების ნიმუშები, ნებართვის გამცემი უწყების რეკვიზიტები და ა.შ. დამატებითი ინფორმაციის სახით მოცემულია ექსპორტ-იმპორტის სფეროში ნებართვას დაქვემდებარებული კონკრეტული სახის პროდუქციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცნობები.

გზამკვლევი „როგორ მივიღოთ ნებართვა ექსპორტ-იმპორტის სფეროში“ მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ „აირის საქართველოს“ მხარდაჭერითა და ექსპორტ-იმპორტის ნებართვის გამცემ სახელმწიფო უწყებებთან აქტიური თანამშრომლობით.

გზამკვლევი წარმოადგენს კანონთა კომენტარებს და იგი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან. ყველა დასაბუთებული და საქმიანი შენიშვნა მხედველობაში იქნება მიღებული.

გისურვებთ წარმატებებს!

შინაარსი

შესავალი	4
ტირმიონთა განმარტება.....	5
ნებართვის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება	6
სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის ნებართვა	7
ვეტერინარიის სფეროში ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა	11
პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის ნებართვა.....	14
კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვა.....	17
აბროჭიმედიკატების ექსპორტ-იმპორტის ნებართვა.....	19
ხე-ტყის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა	22
არასახიფათო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვა.....	24
შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის ნებართვა	27
ორგანიზაციების პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა.....	29
ნებართვის გაცემის წესი.....	32
ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.....	37
ნებართვის მოქმედების შეჩერება.....	38
ნებართვის გაუქმება.....	38
გასაჩივრების წესი	39
სანებართვო რეესტრი	40
სანებართვო პირობების კონტროლი	41
დამატებითი ინფორმაცია	43
დ ა ნ ა რ თ ი	50

შესავალი

ნებართვას დაქვემდებარებული საქსპორტო/საიმპორტო საქმიანობის სახეები და მათი გამცემი ორგანოები განისაზღვრა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით.

ნებართვა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს¹ მიერ პირისთვის მინიჭებულ უფლებას ერთჯერადად ან/და გარკვეულ ვადაში განახორციელოს ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი.

ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, სანებართვო სახეები და შესაბამისი მოსაკრებლები, რომლის გადახდაც აუცილებელია ნებართვის მისაღებად, დადგენილია მხოლოდ კანონით. კერძოდ, ნებართვის გაცემას ექვემდებარება შემდეგი სახის პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი:

№	სანებართვო სახეობა	ნებართვის გამცემი ორგანო
1	სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტისა და რეექსპორტის ნებართვა, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის ნებართვა	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – წამლის სააგენტო
2	მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების, ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ცხოველთა საკვების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა	სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ვეტერინარიის დეპარტამენტი
3	პესტიციდების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – მცენარეთა დაცვის სამსახური
4	კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქტების იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვა	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – მცენარეთა დაცვის სამსახური
5	აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური
6	ხე-ტყის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
7	არასახიფათო ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის, ოზონის შრის ² დამშლელ ნივთიერებათა იმპორტის ნებართვა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
8	შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების (მათ შორის, საწარმოო ნარჩენების) ექსპორტისა და რეექსპორტის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა	ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

¹ ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

² აღნიშნული სანებართვო საქმიანობები გზამკვლევაში არ არის განხილული სფეროების არააქტუალურობისა და მოქმედ მეწარმეთა სიმცირის გამო.

9	შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა ²	იუსტიციის სამინისტრო
10	წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის ნებართვა ²	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

აღნიშნული სანებართვო საქმიანობებიდან ვცადეთ გამოგვეყო ის სფეროები, სადაც დასაქმებულია მეწარმეთა მეტი რაოდენობა და რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო საინტერესო იქნებოდა საზოგადოებისთვის.

გზამკვლევაში ასევე განხილულია პრეპერენციითა განხორციელებული სისტემა (GSP). (იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 44), რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის, აშშ-სა და კანადის, აგრეთვე სხვა ქვეყნების საქართველოსთვის საიმპორტო შეღავათების მინიჭებას.

ტერმინთა განმარტება

ექსპორტი – საქონლის გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საგარეო ბაზარზე რეალიზაციის მიზნით;

იმპორტი – საქონლის უცხო ქვეყნიდან შემოტანა შიდა ბაზარზე რეალიზაციის მიზნით;

რეექსპორტი – საქართველოში უცხო ქვეყნიდან შემოტანილი პროდუქციის ექსპორტი მესამე ქვეყანაში, მისი გადამუშავების გარეშე.

ტრანზიტი – საქონლის უცხო სახელმწიფოთა შორის გადაადგილება საქართველოს ტერიტორიის გავლით;

ნებართვა – ადმინისტრაციული აქტით მინიჭებული უფლება, რომლის საფუძველზეც პირს შეუძლია განახორციელოს პროდუქციის იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად ან/და გარკვეული ვადით;

სანებართვო პირობები – კანონით დადგენილი მოთხოვნების ამომწურავი ნუსხა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი ნებართვის მისაღებად. აგრეთვე წესების, ნორმებისა და მოთხოვნების ერთობლიობა, რომელთა დაცვაც მოეთხოვება ნებართვის მფლობელს (ნებართვის მიღების შემდგომ) განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად (მაგ. უსაფრთხოების მოთხოვნები);

სანებართვო მოსაკრებელი – ერთჯერადი სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში, რომელსაც ნებართვის მისაღებად კანონით დადგენილი ოდენობით იხდის მაძიებელი;

სანებართვო მოწმობა – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ნებართვის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება

სანებართვო სახეები, ნებართვის გამცემი ორგანოები, ნებართვის გაცემის ზოგადი წესი და პირობები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, რომელიც განსაზღვრავს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- აკრძალულია ისეთი ნებართვის დაწესება, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული;
- დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ისეთი დოკუმენტის შემოღება, რომელიც გულისხმობს რაიმე საქმიანობაზე შინაარსობრივად სალიცენზიო ან სანებართვო რეჟიმის დაწესებას;
- ნებართვას დაქვემდებარებული კონკრეტული საქმიანობის ჩამონათვალი განისაზღვრება მხოლოდ კანონით;
- ნებართვის მისაღებად საჭირო დამატებითი პირობები განისაზღვრება მხოლოდ კანონით.

სანებართვო მოსაკრებელი განსაზღვრულია „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით. ნებართვის გაცემის წესი, პასუხისმგებლობა და გასაჩივრების წესი შესაბამისობაშია ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან.

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე მიღებულ იქნა რიგი სხვა კანონები, რომლებიც ამ გზამკვლევაში განხილულია შესაბამის თავებში.

სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის ნებართვა

სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტისა და რექსპორტის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის შემთხვევაში აუცილებელია მეწარმეს ჰქონდეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – წამლის სააგენტოს (შემდგომში: წამლის სააგენტო) მიერ გაცემული ნებართვა პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით.

სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტის, ექსპორტისა და რექსპორტის სანებართვო სახეები და დამატებითი სანებართვო პირობები განისაზღვრა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონებით.

აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების:

1. ტრანზიტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ტრანზიტით მიმავალ ავადმყოფს მკურნალობის მიზნით თან მიაქვს ასეთი ნივთიერებები;
2. რექსპორტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ტიერმინთა ბანმართვა

სამკურნალო საშუალება (ფარმაცევტული პროდუქტი) – წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული სამკურნალო ნივთიერება ან მათი კომბინაცია, რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისთვის;

ფარმაცევტული სუბსტანცია – ნებისმიერი წარმოშობის, შესაბამისი ხარისხისა და ფარმაცოლოგიური აქტივობის ნივთიერება, რომელიც გამოიყენება წამლის მომზადების ან/და წარმოებისთვის;

დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქცია – ფარმაცევტული პროდუქტი ანუ სამკურნალო საშუალება, რომელსაც გავლილი აქვს საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის ყველა სტადია, გარდა საბოლოო შეფუთვისა;

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები – ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები, რომელთა ნუსხა შეესაბამება გაეროს კონვენციების მოთხოვნებს;

სამკურნალო საშუალების რეგისტრაცია – საქართველოში წარმოებული და სხვა ქვეყნიდან შემოტანილი სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო ექსპერტიზის პროცედურა, რომლის საფუძველზეც დაშვებულია სამკურნალო საშუალებების მიმოქცევა საქართველოში. რეგისტრაციის ვადაა 5 წელი;

ნარკოტიკული საშუალება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც შეტანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების სიაში;

ფსიქოტროპული ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც შეტანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებების სიაში;

პრეკურსორი – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონოდ დამზადებისას.

სანებართვო სახეები და მოსაკრებლები

სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის სფეროში სანებართვო სახეები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლები – „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით:

- ✓ ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, კონკრეტული ოპერაციის³ განხორციელების ვადით.

№	სანებართვო სახე	მოსაკრებლის მოცულობა (ლარი)
1	სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი	100
2	სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის რექსპორტი	100
3	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტი	100
4	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტი	100

- ✓ ნებართვა გაიცემა მხოლოდ რეგისტრირებულ სამკურნალო საშუალებებზე, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა.

არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალება, კანონის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება შემოტანილ იქნეს:

- ა) კლინიკამდელი და კლინიკური კვლევისთვის;
- ბ) სახელმწიფო რეგისტრაციისთვის – ნიმუშის სახით;
- გ) ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისთვის;
- დ) საერთაშორისო მიმართულებაზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალების ბრიგადის მიერ მგზავრთა სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ოდენობით;
- ე) გამოფენების, სიმპოზიუმების, კონფერენციების, ფორუმებისა და კონგრესებისთვის – ნიმუშის სახით;
- ვ) რექსპორტისთვის.

- ✓ არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალების რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია.

განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივი დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება) ან გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი სამთავრობო კომისიის დასკვნის (თანხმობის) საფუძველზე დასაშვებია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების შემოტანა და გამოყენება, თუ წარდგენილია სახელმწიფო რეგისტრაციის და გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები.

- ✓ ნარკოტიკულ ნივთიერებებზე წლიური მოთხოვნის ექსპორტ-იმპორტის კვოტებს განსაზღვრავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დასამტკიცებლად წარუდგენს გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.

³ ქვეყნის საბაჟო საზღვრის ერთჯერადი გადაკვეთა.

- ✓ ფიზიკურ პირებს პირადი მოხმარებისათვის შეუძლიათ იმ სამკურნალო საშუალებების გატანა ან შემოტანა, რომლებიც არ ექცევიან ექსპორტის ან იმპორტის რეჟიმის ქვეშ და შესაბამისად არ საჭიროებენ ნებართვას.
- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებები შეიძლება შემოტანილ იქნეს ასევე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ წამლის შექმნის ტექნოლოგიის შემუშავების, მისი ხარისხის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების გამოკვლევის მიზნით. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მიღება საჭირო არ არის⁴.

სანებართვო პირობები

სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტისა და რეექსპორტის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის ნებართვის მისაღებად მაძიებელმა განცხადებით (იხ. დანართი 1) უნდა მიმართოს წამლის სააგენტოს.

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – წამლის სააგენტო);
2. განმცხადებლის ვინაობა – იურიდიული პირის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
3. თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს განმცხადებელი (სანებართვო სახის მითითება);
4. თანდართული საბუთების ნუსხა;
5. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- წარმომადგენლობისას – სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2);
- ინფორმაცია პროდუქციის ნომენკლატურის, რაოდენობის, ერთეულის ფასის, თანხის, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომრის (იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 46), მომწოდებლის ან/და მიმღების დასახელებისა და მისამართის, მწარმოებლისა და მწარმოებელი ქვეყნის, საიდენტიფიკაციო კოდისა და ტვირთის გამტარებელი საბაჟოს დასახელების შესახებ;
- ✓ სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი არ მიეთითება იმ სამკურნალო საშუალებებზე, რომელთა შემოტანა დასაშვებია რეგისტრაციის გარეშე (იხ. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევები).
- მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამისი სპეციფიკაციის ამსახველი დანართით;
- შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის მოწმობის ასლი;
- ✓ ექსპორტ-იმპორტის ნებართვა გაიცემა მხოლოდ ლიცენზიის მფლობელ ფარმაცევტულ ბაზაზე.

⁴ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის 18⁷ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

- წინასწარი ნებართვის ასლი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის შემთხვევაში.⁵
- ✓ წინასწარი ნებართვა არ არის საჭირო სტიქიური უბედურებების ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპიული ნივთიერებების შემოტანისას.
- ✓ ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში შემოტანა ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო დაკვეთით. დამკვეთად გამოდის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შემოტანისა და გატანის უფლება აქვს მხოლოდ ლიცენზირებულ პირს.
- ✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული სამეწარმეო რეესტრის მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – წამლის სააგენტო.

მისამართი: ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23

ტელ: 29-00-13

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი: 220101107

სატრანზიტო ანგარიში – საქართველოს ეროვნული ბანკის ვაკე საბურთალოს ფილიალი: 507121604

სახაზინო კოდი: 3052

⁵ წინასწარი ნებართვის მისაღებად საჭიროა მხოლოდ წერილობითი განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოსატანი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების დასახელება, მოცულობა, რომელი ქვეყნიდან შემოდის ან სად გააქვთ და ა.შ. წინასწარი ნებართვის არსებობას გააჩნია ინფორმაციული ფუნქცია, რითაც სახელმწიფო წინასწარ იგებს თუ რისი გატანა ან შემოტანა იგეგმება. თუმცა, წინასწარი ნებართვის არსებობა წინააღმდეგობაში მოდის „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონთან, რადგანაც იგი არ იცნობს ასეთ ნებართვას.

ვეტერინარიის სფეროში ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა

მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების, ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების (ნედლეულის), ცხოველთა საკვების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის შემთხვევაში აუცილებელია მეწარმეს ჰქონდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ გაცემული ნებართვა.

ვეტერინარიის სფეროში სანებართვო სახეები და დამატებითი სანებართვო პირობები განსაზღვრულია „ვეტერინარული სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ“ კანონით. გარდა ამისა სფეროს არეგულირებს „ვეტერინარიის შესახებ“ კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

ტერმინთა განმარტება

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტები – ვეტერინარულ-სანიტარიულ ზედამხედველობას დაქვემდებარებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტები (ნედლეული);

ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა – ადგილზე მუდმივი მეთვალყურეობის განხორციელება, რაც უზრუნველყოფს დასნებოვნებული ცხოველების გადაყვანის, არაკეთილსაიმედო ცხოველური წარმოშობის პროდუქტების (ნედლეულის) დამზადების, გადამუშავების, შენახვის, გადაზიდვისა და რეალიზაციის აღკვეთას;

ცხოველთა საკვებდანამატი – ბუნებრივი ან სინთეზური ნივთიერებები, ნაერთები, რომლებიც გამოიზნულად შეაქვთ ცხოველთა საკვებში მათი ორგანოლეპტიკური თვისებების გასაუმჯობესებლად ან შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად;

ცხოველური წარმოშობის პროდუქტები – დაკლული ცხოველებისაგან მიღებული ყველა სახის საკვები პროდუქტ-ნედლეული და კონსერვები, სუბპროდუქტები, საწარმოო წესით მიღებული ძეხვეული და კონსერვები, სუბპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ფრინველის ხორცი და კვერცხი, თევზი და თევზის პროდუქტები, თაფლი და მეფუტკრეობაში წარმოებული პროდუქტები;

ცხოველთა საკვები – საწარმოო წესით მიღებული ცხოველთა საკვები.

სანებართვო სახეები და მოსაკრებლები

ვეტერინარიის სფეროში სანებართვო სახეები და პირობები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ და „ვეტერინარული სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ“ კანონებით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლები „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით:

№	სანებართვო სახე	სანებართვო მოსაკრებელი (ლარი)
1.	მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი ⁶ და რეექსპორტი	50
2.	სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველების (მათ შორის, ყველა სახის ძუძუმწოვარა ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი), ემბრიონის, საინკუბაციო კვერცხის, განაყოფიერებული ქვირითის, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის (მათ შორის ტყავი, მატყლი, ქურქ-ბეწვეული, ძვალი, ნაწლავი, ძვალ-ხორცის ფქვილი) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი	30
3	ცხოველთა საკვების (საკვებდანამატების) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი	50
4.	ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი	50

✓ ნებართვა იმპორტზე, ექსპორტზე, რეექსპორტსა და ტრანზიტზე გაიცემა ერთი თვის ვადით.

სანებართვო პირობები

ნებართვის მისაღებად მაძიებელი წერილობითი განცხადებით (იხ. დანართი 1) მიმართავს ვეტერინარიის დეპარტამენტს.

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი);
2. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები):
 - ფიზიკური პირისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური მეწარმისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - იურიდიული პირისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
3. თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს მაძიებელი (სანებართვო სახის მითითება);
4. თანდართული საბუთების ნუსხა;
5. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- წარმომადგენლობისას სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2);
- საბუთი (ნებართვის მაძიებლის მიერ მომზადებული სათანადო დოკუმენტი) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტის სახეობის, რაოდენობის, იმპორტიორი ან სატრანზიტო ქვეყნის და

⁶ მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ტრანზიტზე სანებართვო მოსაკრებელი არ არის დადგენილი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით, შესაბამისად, იგი უფასოა.

ტრანსპორტირების მარშრუტის შესახებ, ხოლო ბიოლოგიურ და სამკურნალო პრეპარატებზე სარეგისტრაციო მოწმობა (იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 46).

- ✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია.
- ✓ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების იმპორტი და ტრანზიტი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროს მონაცემებით ითვლებიან კეთილსაიმედოდ საერთაშორისო ვეტერინარული კოდექსის “ა” და “ბ” ჯგუფების (იხ. დანართი 3) დაავადებების მიმართ ხორციელდება (შეუზღუდავად) ექსპორტიორი ქვეყნის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის მიერ გაცემული საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსით დადგენილი ნიმუშის ვეტერინარული სერტიფიკატის წარდგენის საფუძველზე.
- ✓ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების იმპორტზე და ტრანზიტზე იმ ქვეყნებიდან, სადაც გამოვლინდა საერთაშორისო ვეტერინარული კოდექსის “ა” და “ბ” ჯგუფების (იხ. დანართი 3) დაავადებები, ნებართვის გაცემა ხორციელდება ვეტერინარული ან/და ვეტერინარულ-სანიტარიული სერტიფიკატის საფუძველზე მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის მიერ მათი დამზადების ადგილზე გაწეული კონტროლის შედეგების მიხედვით.
- ✓ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ტრანზიტზე ნებართვა შესაძლებელია გაიცეს ექსპორტიორ ქვეყანაში ვეტერინარი ინსპექტორის მივლინების გარეშე, თუ ტვირთის კონკრეტული პარტიის გარანტირებულ მიღებაზე არსებობს მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის წერილობითი თანხმობა.

მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების, ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების (ნედლეული), ცხოველთა საკვების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტზე ვრცელდება ვეტერინარულ-სანიტარიული კონტროლი (იხ. დამატებითი ინფორმაცია. გვ. 47). ეს პროდუქტები ასევე ექვემდებარება ვეტერინარულ კარანტინს (იხ. დამატებითი ინფორმაცია. გვ. 47).

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული განმცხადებლის ვინაობისა და მისამართის (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები) ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვეტერინარიის დეპარტამენტი.

მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15^ბ, 0177. ტელ: 39-21-32

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107

ანგარიში: 507121604

ვეტერინარიის დეპარტამენტის სახაზინო კოდი: 3057

ვეტერინარიის დეპარტამენტის სამეცნიერო-საკონტროლო ცენტრი.

მისამართი: ქ. თბილისი, თელავის 53. ტელ: 77-07-30, 77-08-40

პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის ნებართვა

პესტიციდების ექსპორტისა და იმპორტის შემთხვევაში აუცილებელია პირს ჰქონდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა.

პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის სფეროში დამატებითი სანებართვო პირობები განსაზღვრულია „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვის გაცემის შესახებ“ კანონით, გარდა ამისა სფეროში მოქმედებს კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“, რომელიც აწესრიგებს პესტიციდების წარმოებასთან, გამოყენებასთან, რეგისტრაციასთან, მარკირებასთან, ტრანსპორტირებასა და ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

პესტიციდების იმპორტზე ნებართვის მიღება არ არის საჭირო, როდესაც ხორციელდება:

- სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის პესტიციდების ნიმუშების, ეტალონების, ანალიტიკური სტანდარტების იმპორტი, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდებს, სადემონსტრაციო ჩვენებებს;
- არარეგისტრირებული პესტიციდების იმპორტი, რომლებიც განკუთვნილია კონკრეტული (განსაკუთრებით საშიში) მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად, თუ არსებობს ამგვარი ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროება.

ტერმინთა განმარტება

პესტიციდები – მცენარეთა მავნე ორგანიზმებისაგან (მავნებლები, მცენარეთა დაავადებები, სარეველები) დაცვის საშუალება, რომელიც წარმოშობით შეიძლება იყოს ბიოლოგიური, ქიმიური ან მცენარეული;

მკაცრად შეზღუდული პესტიციდი – პესტიციდი, რომლის გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით პრაქტიკულად აკრძალულია სარეგისტრაციო ორგანოს⁷ გადაწყვეტილებით, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში დაშვებულია მისი გამოყენება.

სანებართვო სახეები და მოსაკრებლები

პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის სფეროში სანებართვო სახეები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლები „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით:

№	სანებართვო სახე	ნებართვის მოქმედების ვადა	სანებართვო მოსაკრებელი (ლარი)
1	გამოსაყენებლად დაშვებული პესტიციდების იმპორტი	ერთჯერადად ან 1 კალენდარული წლით	165
2	მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტი	ერთჯერადად	560
3	მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ექსპორტი	ერთჯერადად	520

⁷ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური.

- ✓ ნებართვის მაძიებელს, განცხადების საფუძველზე შეიძლება მიეცეს უფლება პესტიციდის სათანადო რაოდენობის პარტიების ეტაპობრივად შემოტანაზე, თუ მან აიღო ნებართვა კალენდარული წლით.
- ✓ შესაძლებელია დაწესდეს პესტიციდების იმპორტის ზღვრული ოდენობა. ამ შემთხვევაში, ნებართვა გაიცემა კონკურსის (აუქციონის) წესით.

სანებართვო პირობები

პესტიციდების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვის მისაღებად მაძიებელი განცხადებით (იხ. დანართი 1) მიმართავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურს.

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური);
2. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები):
 - ფიზიკური პირისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური მეწარმისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - იურიდიული პირისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
3. თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს მაძიებელი (სანებართვო სახის მითითება);
4. მითითებას, თუ რა სახის პესტიციდების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვას მოითხოვს;
5. აგრეთვე შემდეგი სახის ინფორმაცია:
 - პესტიციდის სავაჭრო დასახელება;
 - პრეპარატული ფორმა;
 - მოქმედი ნივთიერების დასახელება და კონცენტრაცია;
 - პესტიციდების რაოდენობა;
 - იმპორტისას, დამატებით – შესანახი საწყობის მისამართი;
6. ეტაპობრივად შემოტანისას განცხადებაში უნდა მიეთითოს ყოველი პარტიის პირობითი რაოდენობა;
7. მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტის შემთხვევაში, შემდეგი სახის მონაცემები:
 - გამოყენების ხერხი და მიზანი;
 - სახე და რაოდენობა;
 - დრო და ადგილი;
 - მოსავლის აღებამდე ლოდინის პერიოდი.
8. თანდართული საბუთების ნუსხა;
9. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- წარმომადგენლობისას სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2);
- პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის ასლი;
- ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პესტიციდების წარმოშობის სერტიფიკატი (ეს სერტიფიკატი ადასტურებს, თუ რომელ ქვეყნაში და ვის მიერ იქნა წარმოებული პესტიციდი);

- ხოლო მკაცრად შეზღუდულ პესტიციდებზე: ხარისხის სერტიფიკატი⁸, ობიექტის (საწყოების) ჰიგიენური სერტიფიკატი (ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესი იხ. დანართი 4) და ქვეყნის სარეგისტრაციო ორგანოს თანხმობა ექსპორტზე და/ან იმპორტზე.
- ✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია.
- ✓ ნებართვის გამცემი ვალდებულია უზრუნველყოს განცხადებაში მითითებული კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა.

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული განმცხადებლის ვინაობისა და მისამართის (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები) ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

ნებართვის ბამცემი ორგანოს კორდინატი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება მცენარეთა დაცვის სამსახური.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის № 82. ტელ: 23-10-44; 22-04-18

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკის

კოდი: 220101107

ანგარიში: 507121604

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 3055

⁸ ხარისხის სერტიფიკატი ადასტურებს პესტიციდების შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან.

კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვა

კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქტების იმპორტისა და ტრანზიტის შემთხვევაში აუცილებელია პირს ჰქონდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა.

კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის სფეროში დამატებითი სანებართვო პირობები განსაზღვრულია „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ“ კანონით.

ტირმიდნთა ბანმართვა

კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია – ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების (მაენებლები, მცენარეთა დაავადებები, სარვეელები) გავრცელება.

სანებართვო სახეები და მოსაკრებლები

კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის სფეროში სანებართვო სახეები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლები – „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით.

ნებართვა გაიცემა შემდეგი სახის საქმიანობაზე – კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე.

ნებართვა გაიცემა ერთჯერადად ან 6 თვის ვადით, ხოლო მოსაკრებელი შეადგენს – 25 ლარს.

- ✓ ნებართვის მაძიებელს, განცხადების საფუძველზე, შეიძლება მიეცეს უფლება კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის სათანადო რაოდენობის პარტიების ეტაპობრივად შემოტანაზე.

სანებართვო პირობები

კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქტების იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვის მისაღებად მაძიებელი განცხადებით (იხ. დანართი 1) მიმართავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურს.

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური);
2. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები):

- ფიზიკური პირისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური მეწარმისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - იურიდიული პირისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
3. თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს მაძიებელი (სანებართვო სახის მითითება);
 4. ექსპორტიორი ქვეყნისა და შემოსატანი ტვირთის დასახელება;
 5. რაოდენობა;
 6. მოძრაობის მარშრუტი;
 7. მიღების ადგილი;
 8. ეტაპობრივად შემოტანის შემთხვევაში:
 - თითოეული პარტიის რაოდენობა;
 - შემოტანის ვადა;
 - თანდართული საბუთების ნუსხა;
 - განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - რწმუნებულებისას სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2).
- ✓ ნებართვის გამცემი ვალდებულია უზრუნველყოს განცხადებაში მითითებული კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა.
 - ✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული განმცხადებლის ვინაობისა და მისამართის (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები) ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

- ✓ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია (ნედლეული) ექვემდებარება ფიტოსანიტარიულ კარანტინს (იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 48).

ნებართვის ბამცემი ორბანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება მცენარეთა დაცვის სამსახური.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის № 82. ტელ: 23-40-55;
 საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107
 ანგარიში: 507121604
 საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 3059

აბროჟიმიკატების ექსპორტ-იმპორტის ნებართვა

აგროჟიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის შემთხვევაში აუცილებელია პირს ჰქონდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგროჟიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა.

აგროჟიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის სფეროში დამატებითი სანებართვო პირობები განისაზღვრება „აგროჟიმიკატების წარმოების, აგროჟიმიკატებით ვაჭრობის, აგროჟიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროჟიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობის ლიცენზიისა და აგროჟიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვის შესახებ“ კანონით, აგრეთვე „პესტიციდებისა და აგროჟიმიკატების შესახებ“ კანონით.

ტირმინთა განმარტება

აგროჟიმიკატები – სასუქები, ქიმიური მედიორანტები, სხვადასხვა აგრომადნეულები, საკვები დანამატები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა კვებისთვის, ნიადაგის ნაყოფიერების რეგულირებისა და ცხოველთა დამატებითი გამოკვებისთვის.

წარმოშობის სერტიფიკატი – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს აგროჟიმიკატების მწარმოებლისა და გამოშვების თარიღის შესახებ. ამ დოკუმენტს, როგორც წესი, გასცემს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

სანებართვო სახეები და მოსაკრებლები

აგროჟიმიკატების ექსპორტ-იმპორტის სფეროში სანებართვო სახეები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლები – „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით.

აგროჟიმიკატების ექსპორტსა და იმპორტზე ნებართვა გაიცემა ერთჯერადად:

№	სანებართვო სახე	სანებართვო მოსაკრებელი
1	მინერალური სასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
2	მიკროსასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
3	რთული სასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
4	ქიმიური მედიორანტების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
5	ორგანული სასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
6	ორგანულ-მინერალური სასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
7	წარმოების ნარჩენების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
8	მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საკვების გასამდიდრებლად საკვები დანამატების ექსპორტი ან/და იმპორტი	300

- ✓ აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურს უფლება აქვს გასცეს ნებართვა არარეგისტრირებული აგროქიმიკატის იმპორტზე, თუ იგი განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის.

სანებართვო პირობები

ნებართვის მისაღებად მაძიებელი წერილობითი განცხადებით (იხ. დანართი 1) მიმართავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას – აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურს.

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური);
2. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები):
 - ფიზიკური პირისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური მეწარმისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - იურიდიული პირისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
3. თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს მაძიებელი (სანებართვო სახის მითითება);
4. თანდართული საბუთების ნუსხა;
5. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - წარმომადგენლობისას სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2);
 - აგროქიმიკატების დასახელება და რაოდენობა, რომლის იმპორტს ან ექსპორტსაც ახორციელებს ნებართვის მაძიებელი;
 - აგროქიმიკატების შეფუთვის ფორმა⁹;
 - წარმოშობის სერტიფიკატი;
 - ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი;
- ✓ ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის სანებართვო პირობად შემოღება არის რეალურად უმოქმედო დებულება, რადგანაც გაუგებარია რომელი ობიექტის სერტიფიკატი უნდა იქნეს წარდგენილი.
 - პროდუქციის ხარისხის სერტიფიკატი;
 - ინფორმაცია აგროქიმიკატების გამოყენების არეალისა და რეკომენდაციების შესახებ.
 - ✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია.
 - ✓ ნებართვის გაცემაზე ან გაცემაზე უარის თქმის თაობაზე, აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური, გადაწყვეტილებას იღებს წარდგენილი სანებართვო პირობების ადგილზე შემოწმების საფუძველზე.

⁹ განმცხადებლის მიერ წერილობითი ფორმით აღწერილი ჭურჭელი (ტარა), რომელშიც ინახება აგროქიმიკატები და ხდება მათი ტრანსპორტირება.

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული განმცხადებლის ვინაობისა და მისამართის (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები) ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას № 41

ტელ: 92-11-78; 98-40-68 **ფაქსი:** 98-40-68

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107

ანგარიში: 507121303

აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის სახაზინო კოდი: 3058

ხე-ტყის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა

ხე-ტყის ექსპორტის ან იმპორტის შემთხვევაში აუცილებელია პირს ჰქონდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მიერ გაცემული ნებართვა.

ხე-ტყის ექსპორტისა და იმპორტის სფეროში სანებართვო პირობები განსაზღვრულია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, ხოლო მოსაკრებელი – „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით.

სანებართვო სახეები და მოსაკრებლები

ხე-ტყის ექსპორტ-იმპორტის სფეროში სანებართვო სახეები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, ხოლო მოსაკრებლები – „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით.

✓ ნებართვა ხე-ტყის ექსპორტზე/იმპორტზე გაიცემა ერთჯერადად.

№	სანებართვო სახე	მოსაკრებლის მოცულობა (ლარი)
1	ხე-ტყის ექსპორტი	18
2	ხე-ტყის იმპორტი	კანონით არ არის განსაზღვრული

✓ ხე-ტყის იმპორტისათვის მოსაკრებელი კანონით დადგენილი არ არის, ანუ ხე-ტყის იმპორტის ნებართვა უფასოა.

სანებართვო პირობები

ხე-ტყის ექსპორტის ან იმპორტის ნებართვის მისაღებად მაძიებელი განცხადებით (იხ. დანართი 1) მიმართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს.

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო);
2. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები):
 - ფიზიკური პირისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური მეწარმისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - იურიდიული პირისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
3. თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს განმცხადებელი (სანებართვო სახის მითითება);
4. თანდართული საბუთების ნუსხა;
5. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმომადგენლობისას სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2).
- ✓ საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 30 ივნისის №10/140 ბრძანებით დამტკიცებულია ნებართვის მისაღებად წარსადგენი სანებართვო პირობები, რაც ეწინააღმდეგება „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონთან. ნებართვის მისაღებად სანებართვო პირობები უნდა დადგინდეს კანონით.¹⁰
- ✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია.

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული განმცხადებლის ვინაობისა და მისამართის (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები) ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი

მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილი № 87 ტელ.: 25-17-20; 25-17-21; 25-17-22

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107

ანგარიშის ნომერი: 507121604

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სახაზინო კოდი: 5053

¹⁰ „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი.

არასახიფათო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვა

არასახიფათო ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის დროს პირს ჰქონდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა

- ✓ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) აკრძალულია არასახიფათო (მათ შორის არატოქსიკური) და არარადიაქტიული სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენების იმპორტი მათი გაუვნებელყოფის, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელსაც ითვალისწინებს ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით განსაზღვრული „ნარჩენებთან დაკავშირებული განთავსების ოპერაციათა“ „A ჯგუფი“ (იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 49).

არასახიფათო ნარჩენების ექსპორტ-იმპორტის სფეროში დამატებითი სანებართვო პირობები განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ კანონით. სფეროში ასევე მოქმედებს ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსახაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“.

არასახიფათო ნარჩენების კატეგორიები განსაზღვრულია „მწვანე სიით“ (იხ. დანართი 5). საქართველოში დაშვებულია „მწვანე სიით“ განსაზღვრული შემდეგი კატეგორიის ნარჩენების იმპორტი და ტრანზიტი:

- ა) კატეგორია „GA“ - (არადისპერსიულ ფორმაში მყოფი ნარჩენები, რომლებიც შედგება მეტალებისა და მეტალთა შენადნობებისაგან; არადისპერსიულ ფორმაში მყოფ ნარჩენებს არ მიეკუთვნება ნარჩენები ფხვნილის, წიდის ან მტვრის სახით, აგრეთვე მყარი საგნები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნარჩენებს თხევადი ფორმით);
- ბ) კატეგორია „GH“ - (მყარი პლასტმასის ნარჩენები);
- გ) კატეგორია „GI“ - (ქაღალდის, მუყაოსა და ქაღალდის ნაწარმის ნარჩენები);
- დ) კატეგორია „GJ“ - (საფეიქრო ნარჩენები);
- ე) კატეგორია „GN“ - ის „GN010/ყვ 0502 00“ -ის სახეობა;
- ვ) კატეგორია „GL“ - (დაუმუშავებელი კორპისა და მერქნის ნარჩენები);
- ზ) კატეგორია „GE“ - (მინის ნარჩენები არადისპერსიულ ფორმაში).

- ✓ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) დაშვებულია არასახიფათო (მათ შორის, არატოქსიკური) და არარადიაქტიული ნარჩენების იმპორტი მხოლოდ მათი შემდგომი გადამუშავების, რეექსპორტის ან ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელსაც ითვალისწინებს ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით განსაზღვრული „ნარჩენებთან დაკავშირებულ განთავსების ოპერაციათა“ „B“ ჯგუფი (იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 50).

ტერმინთა განმარტება

ნარჩენები – ნებისმიერი ნივთიერება ან ობიექტი, რომელიც შეიძლება არსებობდეს წარმოების და/ან მოხმარების პროცესის შედეგად მიღებული ნედლეულის, მასალის, ნახევარფაბრიკატის, სხვა ნაკეთობისა და პროდუქციის ნაშთის სახით, ასევე იმ პროდუქციის საქონლის სახით, რომელმაც დაკარგა სამომხმარებლო

თვისებები და რომელთა გადაყრას, განადგურებას, ან სხვა ფორმით თავიდან მოცილებას ახორციელებს ან მიზნად ისახავს მისი მფლობელი, ან თუ ამგვარი რამ (როგორც ვაღდეულება) გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან.

არასახიფათო ნარჩენები – შავი და ფერადი ლითონების ჯართი, ყველა ტიპის მაკულატურა, პლასტმასები (მხოლოდ იმ ტიპისა, რომელთა გადამუშავება საქართველოში შესაძლებელია), საფეიქრო და საგალანტერიო წარმოების, ხის გადამუშავების (ბურბუშელა, ნახერხი), აგრეთვე მინის ნარჩენები.

სანებართვო სახეები და მოსაკრებლები

არასახიფათო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის სფეროში სანებართვო სახეები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით.

- ✓ ნებართვა არასახიფათო ნარჩენების იმპორტსა და ტრანზიტზე გაიცემა ერთჯერადად

№	სანებართვო სახე	სანებართვო მოსაკრებელი (ლარი)
1	არასახიფათო ნარჩენების ტრანზიტი	კანონით არ არის განსაზღვრული
2	არასახიფათო ნარჩენების იმპორტი	კანონით არ არის განსაზღვრული

- ✓ არასახიფათო ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტისთვის მოსაკრებელი კანონით დადგენილი არ არის, ანუ არასახიფათო ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვა უფასოა.

სანებართვო პირობები

ნებართვის მისაღებად მაძიებელი წერილობითი განცხადებით (იხ. დანართი 1) მიმართავს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს;

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო);
2. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები):
 - ფიზიკური პირისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური მეწარმისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - იურიდიული პირისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნისთვის (მაგ., ამხანაგობა) – სახელწოდება, მისამართი, წევრები, ხელმძღვანელი პირი.
3. თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს მაძიებელი (სანებართვო სახის მითითება);
4. თანდართული საბუთების ნუსხა;
5. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმომადგენლობისას სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2);

✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია.

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული განმცხადებლის ვინაობისა და მისამართის (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები) ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

✓ ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის დროს დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ეკოლოგიური მოთხოვნები ნარჩენებისადმი.

ნებართვის გამცემი ორბანოს კოორდინატები:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 68ა ტელ.: 33-36-84

ინდექსი: 0171

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107

ანგარიშის ნომერი: 507121604

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სახაზინო კოდი: 5056

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის ნებართვა

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის შემთხვევაში აუცილებელია პირს ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა.

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის სფეროს არეგულირებს „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის რეგულირების შესახებ“ კანონი.

ტირმიონთა ბანმართვა

შავი და ფერადი ლითონების ნარჩენები – ლითონის მეორადი ნედლეული, რომელიც წარმოიშვება ლითონის წარმოების ან მექანიკური დამუშავების პროცესში და განკუთვნილია შემდგომი საწარმოო გადამუშავებისთვის.

შავი და ფერადი ლითონების ჯართი – თავდაპირველი დანიშნულებისთვის გამოუსადეგარი ლითონის ნაკეთობები მათი დატეხვის, გაცვეთის (მათ შორის მორალური), მექანიკური, ქიმიური დაზიანების ან სხვა მიზეზთა გამო და არ გააჩნიათ სახიფათო თვისებები.

სანებართვო სახეები და მოსაკრებელი

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის სფეროში სანებართვო სახეები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლები – „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით.

- ✓ შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტსა და რეექსპორტზე ნებართვა გაიცემა ერთჯერადად.

№	სანებართვო სახე	სანებართვო მოსაკრებელი (ლარი)
1	შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების (მათ შორის, საწარმოო ნარჩენების) ექსპორტი	30
2	შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების (მათ შორის, საწარმოო ნარჩენების) რეექსპორტი	30

სანებართვო პირობები

ნებართვის მისაღებად მაძიებელი განცხადებით (იხ. დანართი 1) მიმართავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო);
2. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები):
 - ფიზიკური პირისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური

მეწარმისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;

- იურიდიული პირისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
3. რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს განმცხადებელი (სანებართვო სახის მითითება);
 4. თანდართული საბუთების ნუსხა;
 5. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმომადგენლობისას სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2).

✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია.

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული განმცხადებლის ვინაობისა და მისამართის (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები) ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

ნებართვის ბამცემი ორბანოს კოორდინატები:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
მისამართი: თბილისი ალ. ყაზბეგის №42 ტელ.: 23-40-09; 39-30-32
ფაქსი: 23-40-09
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი: 220101107
ანგარიშის ნომერი: 507121604
ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახაზინო კოდი: 3054

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის შემთხვევაში პირს უნდა გააჩნდეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა.

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის სფეროში დამატებითი სანებართვო პირობები განისაზღვრება „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“ კანონით. სფეროში ასევე მოქმედებს პრეზიდენტის ბრძანებულება „ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის ზოგიერთ დონისძიებათა შესახებ“.

ტერმინთა განმარტება

ორმაგი დანიშნულების პროდუქცია – პროდუქცია, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამხედრო მიზნებისათვის, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთვული, ქიმიური და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გადატანის საშუალებების შექმნისთვის;

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხა - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ უწყებათაშორის კომისიასთან შეთანხმებით დამტკიცებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ჩამონათვალი (იხ. დანართი 6);

საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნომენკლატურა – ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მათ შორის, ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალები, მოწყობილობები, ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და მომსახურება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის ან მისი გადატანის საშუალებების შექმნისთვის.

სამექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია

საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციას მიეკუთვნება:

1. ჩვეულებრივი შეიარაღება და ტექნიკა, ნედლეული, მასალები, სპეციალური მოწყობილობები და ტექნოლოგიები, აგრეთვე მათ წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურება;
2. ბირთვული მასალები და მათთან დაკავშირებული ტექნოლოგიები, მოწყობილობები, დანადგარები, სპეციალური არაბირთვული მასალები, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები, ტექნოლოგიები, რადიაქტიული გამოსხივებების წყაროები და იზოტოპური პროდუქცია, რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;
3. ორმაგი დანიშნულების ქიმიკატები და ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქიმიური იარაღის შექმნისას გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით;
4. დაავადებათა გამომწვევები, მათი გენეტიკურად შეცვლილი ფორმები და გენეტიკური მასალების ფრაგმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნისას გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით;
5. მოწყობილობები, მასალები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება სარაკეტო იარაღის შექმნისას და რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;

6. სამხედრო დანიშნულების პროდუქციასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, მომსახურება და ინტელექტუალური საკუთრების შედეგები;
7. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დადგენილი პროდუქციის სხვა სახეები.
 - ✓ ორმაგი დანიშნულების პროდუქცია განეკუთვნება საქსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციას.

ნებართვის სახეები და მოსაკრებლები

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის სფეროში სანებართვო სახეები განსაზღვრულია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ხოლო სანებართვო მოსაკრებელი – „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით.

- ✓ ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის, ექსპორტის, რექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა გაიცემა ერთჯერადად.

№	სანებართვო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტი	30
2	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტი	30
3	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის რექსპორტი	30
4	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტი	30

- ✓ ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტზე ნებართვა საჭიროა მხოლოდ მაშინ, თუ იგი ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში (იხ. დანართი 6) აღნიშნულია ვარსკვლავით. ნუსხას ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

სანებართვო პირობები

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის მისაღებად მაძიებელი წერილობითი განცხადებით (იხ. დანართი 1) მიმართავს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

განცხადებაში აღინიშნება:

1. ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (ეკონომიკური განვითარების სამინისტრო);
2. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები):
 - ფიზიკური პირისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური მეწარმისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - იურიდიული პირისთვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნისთვის (მაგ., ამხანაგობა) – სახელწოდება, მისამართი, წევრები, ხელმძღვანელი პირი.
3. თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს მაძიებელი (სანებართვო სახის მითითება);
4. თანდართული საბუთების ნუსხა;
5. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
 - წამომადგენლობისას სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება (იხ. დანართი 2);
 - საექსპორტო ან საიმპორტო კონტრაქტი;
 - საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;
 - საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი¹¹ (მხოლოდ საექსპორტო ან საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ან რეექსპორტის შემთხვევაში, თუ ეს პროდუქცია ნუსხაში ვარსკვლავით არის აღნიშნული (იხ. დანართი 6).
- ✓ ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია.
 - ✓ ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში ვარსკვლავით აღნიშნულ პროდუქციაზე ნებართვის გაცემა წარმოებს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი საუწყებთაშორისო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე¹².
 - ✓ ნებართვის მფლობელი ნებართვისა და კონტრაქტის დედნებს წარუდგენს საბაჟო ორგანოებს.
 - ✓ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი პროდუქციის რეექსპორტი ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს და შეიძლება განხორციელდეს გამომგზავნი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ნებართვის გარეშე.
 - ✓ საქართველოს უფლება აქვს დააწესოს შეზღუდვები, ემბარგოს ჩათვლით, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტზე უცხო სახელმწიფოთა მიერ საქართველოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისას, აგრეთვე, იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილებით, რომელთა წევრიც არის საქართველო.

ნებართვის მიღების პროცესში ან ნებართვის მიღების შემდეგ განცხადებაში მითითებული განმცხადებლის ვინაობისა და მისამართის (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები) ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა.

- ✓ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის უფლებამოსილ ორგანოს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია შეამოწმოს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია¹³.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
მისამართი:
თბილისი ჭავჭავაძის ქ. №12 ტელ/ფაქსი.: 23-40-09;
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107

¹¹ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მიმღები ქვეყნის ვალდებულებას თავის ტერიტორიაზე ამ პროდუქციის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისა და ექსპორტიორი ქვეყნის თანხმობის გარეშე მისი მესამე ქვეყნისათვის გადაცემის დაუშვებლობის შესახებ;

¹² ნებართვის გამცემი ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი საუწყებთაშორისო კომისიის წარუდგენს მაძიებლის განცხადებისა და საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის ასლებს;

¹³ კონტროლი ხორციელდება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

ნებართვის გაცემის წესი

ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ნებართვის გამცემი ორგანო იღებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

საქმისწარმოება იწყება წერილობითი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების წარდგენით ნებართვის გამცემ ორგანოში, რომლის რეგისტრაციასაც ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურის კანცელარია.

- ✓ ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადება რეგისტრაციაში გაატაროს მიღებისთანავე და დაუსვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ხოლო განმცხადებლის მოთხოვნისას - დაუყოვნებლივ გასცეს ცნობა განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

ნებართვის გამცემი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის¹⁴ ვადაში ამოწმებს წარდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან (ნებართვის მისაღებ სანებართვო პირობებთან). ადმინისტრაციული წარმოების ეს საფეხური გულისხმობს განცხადების შესაბამისობის დადგენას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნებთან. ასევე, უნდა შემოწმდეს შეესაბამება თუ არა განცხადებაზე თანდართული მასალები ექსპორტ-იმპორტის სფეროში მოქმედი სპეციალური კანონებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს. შესაბამისობის შემოწმებისას შესაძლოა ადგილი ქონდეს შემდეგ გარემოებებს:

1. განცხადების, ან მასზე დართული მასალების წარდგენას უცხო ენაზე. საქმისწარმოება ნებართვის გამცემ ორგანოში მიმდინარეობს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე და ნებართვის მაძიებელი ვალდებულია ყველა დოკუმენტი წარადგინოს ქართულ ენაზე. თუ რომელიმე დოკუმენტი სახელმწიფო ენაზე არ არის წარდგენილი, ნებართვის გამცემმა ორგანომ მაძიებელს უნდა მისცეს ვადა დოკუმენტის თარგმნისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისთვის, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები.

- ✓ სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის წარდგენამდე საქმისწარმოების ვადა შეჩერებულია.

2. განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ნებართვის გაცემა მიეკუთვნებოდა სხვა ორგანოს უფლებამოსილებას, ამ შემთხვევაში სახელმწიფო უწყება ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე თანდართული საბუთები უფლებამოსილ ორგანოს, რომლის შესახებაც 2 დღის ვადაში შესაბამისი დასაბუთებით აცნობებს განმცხადებელს;

3. საქმისწარმოების ვადის გაგრძელების აუცილებლობას. თუ წარდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია 15 დღიან ვადაში, იგი შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვემდე. უნდა აღინიშნოს, რომ ვადის 3 თვემდე გაგრძელება არის მაქსიმუმი (რომელშიც მიეთვლება 15 დღიანი ვადაც). ვადის გაგრძელებისას ნებართვის გამცემმა უნდა იხელმძღვანელოს საქმის სირთულით.

- ✓ ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული აქტის (მაგ.: ბრძანების) ფორმით, რომლის გამოცემისათვის ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ იმართება.

¹⁴ დღეების ათვლისას არ გაითვალისწინება უქმე და დასვენების დღეები.

ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 3 დღისა და შეიცავდეს დასაბუთებას ვადის გაგრძელების აუცილებლობის თაობაზე.

✓ აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა მაძიებელს უნდა ეცნობოს ვადის გაგრძელების შესახებ და გადაეცეს შესაბამისი აქტის ასლი.

4. ყველა დოკუმენტი სრულად არ იქნეს წარდგენილი. ამ შემთხვევაში ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები და ამისათვის განუსაზღვროს 3 დღიანი ვადა. მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს თუ რა დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარადგინოს მაძიებელმა. ამ ვადაში დოკუმენტების წარუდგენლობისას, ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით, მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარდგენის ვადა.

✓ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვებას.

დოკუმენტების წარსადგენად განმცხადებლისათვის მიცემული დამატებითი ვადა არ მიეთვლება საქმისწარმოების საერთო ვადას, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში საქმისწარმოება შეჩერებულია. ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან;

5. ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობას. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება, ნებართვის გამცემი ნიშნავს ექსპერტიზას. ექსპერტიზის დანიშვნის აქტში კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს ის კითხვები, რომელზეც ნებართვის გამცემ უწყებას სურს პასუხის მიღება. ექსპერტიზა ძირითადად ინიშნება მეცნიერების, ტექნიკის ან/და მედიცინის სფეროში ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად. დაუშვებელია ექსპერტიზა დაინიშნოს სამართლებრივ საკითხებზე;

ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 3 დღის განმავლობაში განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაუგზავნოს ექსპერტს, რომელიც დასკვნას წარადგენს 7 დღის ვადაში. დასკვნის წარუდგენლობა არ დააბრკოლებს განცხადების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა 7 დღეში დასკვნის წარდგენა შეუძლებელია, ხოლო მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, ხოლო დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია დასკვნის წარდგენის ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 7 დღით.

ნებართვის გაცემის პროცესში მაძიებელი მონაწილეობს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. განმცხადებელს ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე შეუძლია, წერილობითი სახით აცილება განუცხადოს (იხ. დანართი 7) ნებართვის გამცემი ორგანოს თანამდებობის პირს, თუ მას კანონის შესაბამისად არა აქვს უფლება მონაწილეობას იღებდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქმის ზეპირი მოსმენის სხდომაზე აცილების თაობაზე შუამდგომლობა შეიძლება დაყენებულ იქნეს ზეპირადაც.

სახელმწიფო უწყება ვალდებულია ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოებაში მიიწვიოს განმცხადებელი; მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას თავისი მოსაზრება (მათ შორის, წერილობით), გაეცნოს საქმის მასალებს, გადაიღოს მათი ასლები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, დააყენოს შუამდგომლობები. ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია განმცხადებელს განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები, გაეცნოს საქმის განხილვის წესი და ვადები.

ნებართვის გამცემი ორგანო იკვლევს წარდგენილ მტკიცებულებებს, უსმენს მხარეებს, განიხილავს შუამდგომლობებს, მოწმეებისა და ექსპერტისაგან იღებს ახსნა-განმარტებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

ნებართვის თაობაზე ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს განცხადების წარდგენიდან (რეგისტრაციიდან) 15 დღის ვადაში (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა).

თუ საქმის განხილვისას გამოვლინდება ისეთი გარემოებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნებართვის გაცემაზე უარის თქმა, გამცემი ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე, მისცეს განმცხადებელს უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ:

- ა) უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ (მაგ., საქმისწარმოებისას გამოვლინდა, რომ განცხადება წარდგენილია არარსებული სუბიექტის მიერ ან არასწორია რეესტრული მონაცემები);
- ბ) ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან.

აღნიშნულ გარემოებათა შესახებ განმცხადებელი ნებართვის გამცემს 3 დღის ვადაში წარუდგენს საკუთარ მოსაზრებას, მოსაზრების წარდგენა არ არის საჭირო, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება, ასევე, თუ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ამ დროს ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს.

თუ განმცხადებელს უარი ეთქვა ნებართვის მიღებაზე, მას ხელმეორედ იმავე მოთხოვნით განცხადების შეტანა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ:


1. აღმოიფხვრება ის გარემოება, რაც გახდა ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი;
2. შეიცვლება ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძველად დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას;
3. არსებობს ახლად აღმოჩენილი, ახლად გამოვლენილი გარემოებები (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებენ განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელ ადმინისტრაციული აქტის გამოცემას;
4. სახეზეა ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, ანუ ნებართვის გამცემი ორგანოსათვის ხელმეორედ მიმართვისას განმცხადებლის მდგომარეობა შეცვლილია (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურე პერსონალი, დოკუმენტაციის სრულყოფილება და ა.შ.);
5. ადგილი აქვს საკანონმდებლო ცვლილებებს – ის პირობა, რომელსაც განმცხადებელი ადრე ვერ აკმაყოფილებდა, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ აკმაყოფილებს ან/და ცვლილებების შედეგად ესა თუ ის პირობა საერთოდ ამოღებულ იქნა კანონიდან.


ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:


- ა) ადმინისტრაციული აქტის სახეს (მაგ.: ბრძანება №);
- ბ) გამომცემი ორგანოს დასახელებას;
- გ) აქტის სათაურს (მაგ.: ბრძანება № ნებართვის გაცემის შესახებ);
- დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის სახელს, გვარსა და ხელმოწერას;
- ე) გამომცემის დროსა და ადგილს;
- ვ) გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;
- ზ) ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა (მაგ.: „ბრძანება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება 1 თვის ვადაში გასაჩივრდეს სამინისტროში, შემდეგ მისამართზე...“).

ადმინისტრაციული აქტი ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ძალაში შედის განმცხადებლისთვის გადაცემის მომენტიდან.

ნებართვის გაცემის ზოგადი (სტანდარტული) სქემა







ნებართვის ბაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

ნებართვა არ გაიცემა, თუ:

- წარდგენილი დოკუმენტაცია და/ან წარმოების ფაქტობრივი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს სანებართვო პირობებს;
- მაძიებელი მოითხოვს ისეთ ნებართვას, რომელიც მას გაუუქმდა და გაუქმებიდან არ გასულა 6 თვე;
- მაძიებელს შეუჩერდა ნებართვის მოქმედება და არ აღმოფხვრილა მისი შეჩერების საფუძველი.
 - ✓ აკრძალულია ნებართვის გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ნებართვის რაოდენობის შეზღუდვის მოტივით.
 - ✓ გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

- ✓ ნებართვის დუბლიკატის მისაღებად საჭირო არის მხოლოდ წერილობითი განცხადება.

განცხადების მიღებიდან 2 დღეში ნებართვის გამცემი გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს. დუბლიკატის გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებელი შეადგენს 10 ლარს¹⁵.

- ✓ სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს.
- ✓ აკრძალულია ნებართვის სხვა პირთათვის გადაცემა¹⁶.

¹⁵ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ კანონი.

ნებართვის მოქმედების შეჩერება

ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ, თუ ნებართვის მფლობელი არღვევს სანებართვო პირობებს.

ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ნებართვის გამცემი იღებს ამ ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესით (იხ. ნებართვის გაცემის წესი გვ. 32).

გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება დადგენილი ვადის დაუცველად და ამის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ნებართვის მფლობელს.

ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, რომელი სანებართვო პირობაა დარღვეული. თუ ნებართვის მფლობელი 3 თვის განმავლობაში გამოასწორებს დარღვეულ სანებართვო პირობას, იგი მიმართავს ნებართვის გამცემს ნებართვის მოქმედების განახლების მოთხოვნით. განცხადებაში მეწარმე უფლებამოსილია დასვას შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ნებართვის მოქმედების განახლების თაობაზე გადაწყვეტილების გამოცემის შესახებ.

- ✓ გადაწყვეტილება ნებართვის მოქმედების შეჩერების ან განახლების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

ნებართვის გაუქმება

ნებართვის გაუქმება გულისხმობს მის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ბათილად ცნობისას ნებართვა გაუქმებულად ითვლება მისი გაცემის დღიდან, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადებისას კი, ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

ნებართვის გაუქმების საფუძველია, თუ:

- ნებართვა გასცა არაუფლებამოსილმა ორგანომ ან პირმა (ბათილობა);
- იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები (ბათილობა);
- არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ნებართვის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და ნებართვის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს (ძალადაკარგულად გამოცხადება);
- ნებართვის მფლობელის მიერ არ სრულდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულებები (ძალადაკარგულად გამოცხადება);
- გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ნებართვის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც

¹⁶ ნებართვის გადაცემაში იგულისხმება სანებართვო მოწმობის გასხვისება.

ზიანი მიადგა, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება (ძალადაკარგულად გამოცხადება);

- ამას მოითხოვს ნებართვის მფლობელი (ძალადაკარგულად გამოცხადება);
 - სახეზეა ნებართვის მფლობელის გარდაცვალება (დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ქმედუნაროდ ცნობა) და/ან ლიკვიდაცია (ძალადაკარგულად გამოცხადება);
 - გავიდა ნებართვის მოქმედების შეჩერების ვადა და ამ ვადაში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი (ძალადაკარგულად გამოცხადება).
- ✓ სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის ნებართვის გაუქმების დამატებითი საფუძველია, თუ შესაბამის პროდუქციას შეუჩერდა ან გაუქმდა სახელმწიფო რეგისტრაცია (ძალადაკარგულად გამოცხადება).

ბასაჩივრების წესი

ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ბასაჩივრება

ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის, მათი მოქმედების შეჩერების ან განახლების ან/და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება (ადმინისტრაციული აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) (იხ. დანართი 8) ან სასამართლოში.

ასევე დამოუკიდებლად გასაჩივრებას ექვემდებარება საქმისმწარმოებელი თანამდებობის პირების მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ასევე შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან შესაბამის რაიონულ სასამართლოში. ნებართვის შესახებ სამინისტროს (მინისტრის) გადაწყვეტილება საჩივრდება ზემდგომ თანამდებობის პირთან (მთავრობაში) ან თბილისის საოლქო სასამართლოში; ქმედება კი, რაიონულ სასამართლოში.

- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს, გადაწყვეტილების (საქმისმწარმოებელი თანამდებობის პირების მოქმედება ან უმოქმედობა) ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.
- ✓ თუ განმცხადებელი ფიზიკური პირი გადაწყვეტილებას ჯერ გაასაჩივრებს ზემდგომ ორგანოში და შემდგომ წარადგენს სარჩელს სასამართლოში, იგი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟისაგან.
- ✓ აკრძალულია დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის.

სასამართლოში ბასაჩივრება

სარჩელი (იხ. დანართი 9) სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციული აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 6 თვის ვადაში¹⁷.

სარჩელში უნდა აღინიშნოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის სარჩელი;
2. მოსარჩელის ვინაობა და მისამართი;
3. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება და მისამართი, რომლის ქმედება ან უმოქმედობა საჩივრდება;
4. მოსარჩელის მოთხოვნა;
5. გარემოებები, რომლებსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა;
6. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
7. სარჩელზე დართული საბუთების ნუსხა.

¹⁷ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 22-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

- ✓ ნებართვის თაობაზე (ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის, მისი მოქმედების შეჩერების ან განახლების ან მისი გაუქმების შესახებ) ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება არ იწვევს მის შეჩერებას, თუ ზემდგომი ორგანო (თანამდებობის პირი) ან სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო –

მისამართი:

ქ. თბილისი 0179, არაყიშვილის №3. ტელ: 22-45-82

მთაწმინდა კრწანისის რაიონული სასამართლო –

მისამართი:

ქ. თბილისი 0103, ქ.წამებულის №1

საოლქო სასამართლო –

მისამართი:

ქ. თბილისი 0159, გ. რობაქიძის გამზ. №7^ა

ტელ.: 53-09-15; 53-09-16

სანებართვო რეესტრი

რეესტრის წარმოების მიზანია, შეიქმნას ერთიანი ბაზა ნებართვების შესახებ.

სანებართვო რეესტრის სახეებია:

1. უწყებრივი რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ნებართვის გამცემი სამსახურები;
2. სახელმწიფო რეესტრი, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

- ✓ ექსპორტ-იმპორტის ნებართვის შესახებ მონაცემები შეიტანება მხოლოდ უწყებრივ რეესტრში.

ნებართვის გამცემ სამსახურს უწყებრივ სანებართვო რეესტრში შეაქვს მონაცემები ნებართვის გაცემის, ცვლილებების შეტანის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლების, გაუქმებისა და დუბლიკატის გაცემის შესახებ, ნებართვის მფლობელის მონაცემები, სანებართვო მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი. უწყებრივ რეესტრში მონაცემები შეიტანება გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში.

- ✓ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

ინფორმაციის მისაღებად პირი რეესტრის მწარმოებელ უწყებაში წარადგენს წერილობით განცხადებას. სავალდებულო არ არის განცხადებაში მიეთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი.

- ✓ აკრძალულია დაწესდეს რაიმე საფასური ინფორმაციის გაცემისათვის, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი საფასურის გარდა.

რეესტრის სამსახური მოთხოვნილ ინფორმაციას (მონაცემებს) გაცემს დაუყოვნებლივ. გაცემის ვადა შეიძლება გაიზარდოს 10 დღემდე, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა საჭიროებს:

1. სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას ანდა კონსულტაციას;
2. მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.

თუ ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, რეესტრის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს შესაბამისი დასაბუთებით.

სანებართვო პირობების კონტროლი

ნებართვის გაცემის შემდეგ ნებართვის გამცემის მიერ სანებართვო პირობების შემოწმება წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს და იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე. ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მხოლოდ სანებართვო პირობებთან დაკავშირებით; კერძოდ, იმ კანონების, წესების, ნორმებისა და მოთხოვნების ერთობლიობის შესრულებაზე კონტროლი, რომელთა დაცვაც მოეთხოვება მეწარმეს ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას.

კონტროლს არ წარმოადგენს:

- ✓ ნებართვის გასაცემად სანებართვო პირობების შემოწმება;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შემოწმების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა.

იმისათვის, რომ ნებართვის გამცემმა ორგანომ განახორციელოს კონტროლი მეწარმის საქმიანობაზე, იგი რეგისტრირებული უნდა იყოს მაკონტროლებელ ორგანოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია შემოწმების დაწყებამდე მიმართოს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე გააჩნია მეწარმეს ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). შუამდგომლობა მეწარმის შემოწმების თაობაზე უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად. შუამდგომლობაში მიეთითება შესამოწმებელი მეწარმის ზუსტი მონაცემები – სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი – შემოწმების ვადა და ფარგლები (მეწარმის საქმიანობის კონკრეტული შესამოწმებელი ნაწილის მითითებით). შუამდგომლობას ასევე უნდა დაერთოს მაკონტროლებელი ორგანოს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ცნობის ასლი, რომელსაც გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

გამონაკლის შემთხვევაში, როცა შესაძლებელია საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს, მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე შეაჩეროს მეწარმის საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ (იმავე დღეს ან თუ ეს ვერ ხერხდება არა უგვიანეს მომდევნო დღისა) მიმართოს მოსამართლეს შემოწმების შესახებ ბრძანების მისაღებად. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მეწარმეს ანდა შეჩერების წინააღმდეგია მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით დაწყებული შემოწმების კანონიერად ცნობისა და შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია სასამართლოსადმი გაგზავნილ შუამდგომლობაში დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა, რამაც განაპირობა შემოწმების დაწყება მოსამართლის ბრძანების მიღებამდე.

- ✓ კანონის დარღვევით განხორციელებულ შემოწმების შედეგებს იურიდიული ძალა არა აქვს ანუ იგი ვერ გახდება ნებართვის შეჩერების თუ გაუქმების საფუძველი.

მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მაკონტროლებელი ორგანოსა და მეწარმის თანდასწრებით და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში. შუამდგომლობის განხილვისას მეწარმეს ეძლევა შესაძლებლობა მისცეს განმარტებები.

- ✓ მოსამართლე ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ.

თუ არ არსებობს მეწარმის საქმიანობის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მეწარმის საქმიანობის შემოწმება სასამართლოსადმი მიმართვამდე დაწყებული იყო და მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მეწარმის შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ასეთ შემთხვევაში მეწარმეს უფლება აქვს მოსთხოვოს მაკონტროლებელ ორგანოს შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილება და მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანების მიღება არ არის მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კონტროლის ავტომატურად დაწყების საფუძველი; ამისათვის საჭიროა მოსამართლის მიერ მიღებული ბრძანება შევიდეს კანონიერ ძალაში ანუ უნდა გავიდეს ბრძანების გასაჩივრების ვადა. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის ძალაში შესვლას. მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მხარის მიერ საოლქო სასამართლოში ბრძანების ასლის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. საოლქო სასამართლო საქმეს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში. საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი არ გასაჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

თუ მოსამართლის მიერ მიღებულია დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მაკონტროლებელ ორგანოს იგივე ვადაში და წესით შეუძლია ეს დადგენილება გაასაჩივროს საოლქო სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში დაწყებული შემოწმება შეჩერდება და მისი შემდგომი გაგრძელების ან შეწყვეტის ბედი დამოკიდებული იქნება საოლქო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

- ✓ მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს შეამოწმოს მეწარმე მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც გაცემულია მოსამართლის ბრძანება.
- ✓ მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 25 იანვრამდე წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს ანგარიში გასული წლის განმავლობაში ბრძანების გაცემის შესახებ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობების, სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანებების რაოდენობისა და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული შემოწმების შედეგების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია

პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP)

პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) შემუშავდა 70-იან წლებში გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ეგიდით. GSP-ს ძირითადი არსია განვითარებულმა ქვეყნებმა დახმარება გაუწიონ ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებს ექსპორტის განვითარებაში. ამ მიზნით განვითარებული ქვეყნები GSP-ს მოსარგებლედ ქვეყნებს (GSP-ს ბენეფიციარებს) ანიჭებენ გარკვეულ შეღავათებს საგარეო ვაჭრობაში. კერძოდ, აწესებენ ბენეფიციარი ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე საიმპორტო ტარიფის საბაზრო განაკვეთებთან შედარებით შემცირებულ განაკვეთებს. ამგვარი შეღავათები აადვილებს მათი საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე, ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და ეხმარება საექსპორტო წარმოების განვითარებაში.

დღესდღეობით საქართველოსთვის GSP-ის ბენეფიციარის სტატუსი მინიჭებული აქვს: ევროკავშირს (1995წ.), შვეიცარიას, ჩეხეთს, სლოვაკეთს, კანადას, იაპონიას, აშშ-ს (2001 წ.), პოლონეთს (2002 წ.), თურქეთსა (2002 წ.) და ესტონეთს (2003 წ.).

GSP-ის სქემები, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებიან ქვეყნისთვის პრეფერენციების მინიჭების კრიტერიუმებით, პროდუქციაზე საიმპორტო საბაჟო გადასახადებში შეღავათების გავრცელების მასშტაბებითა და მათი დონით, ასევე საქონლის წარმოშობის დადგენის წესებით, მისი დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების მოთხოვნებითა და ა.შ.

არსებობს GSP-ის განხორციელების სამი ძირითადი ტიპი:

- ევროკავშირი;
- იაპონია;
- ამერიკის შეერთებული შტატები.

დანარჩენი სახელმწიფოები (კანადა, შვეიცარია, ავსტრალია, ნორვეგია, ჩეხეთი, პოლონეთი და სხვა) ამ სამი ძირითადი ეტაპიდან ერთ-ერთს იყენებენ, თუმცა თვითონაც შეაქვთ მასში გარკვეული ცვლილებები თავისი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

შეღავათები ძირითადად ვრცელდება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და იგი შეეხება საქართველოდან ექსპორტირებულ მხოლოდ იმ პროდუქციას, რომელთაც ექნებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული GSP სერტიფიკატი ფორმა „A“, (იხ. დანართი 10) რომელიც გაიცემა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის 2000 წლის №40 „დებულება სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებისთვის საექსპორტო საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი ცნობის (წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა „A“) გაცემის წესის შესახებ“ ბრძანების შესაბამისად.

თუ სერტიფიკატს გაჩნია რამოდენიმე ასლი, ამ შემთხვევაში მხოლოდ ორიგინალი იბეჭდება მწვანე ფურცელზე და ეგზავნება იმპორტიორ ქვეყანას. სერტიფიკატი უნდა შეივსოს ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე. წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა A) გაიცემა ბენეფიციარი ქვეყნის სათანადო სახელმწიფო ორგანოს მიერ და მას ეკისრება პასუხისმგებლობა საქონლის წარმოშობისა და სხვა ინფორმაციის შემოწმებაზე.

წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა „A,“) უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოებს ბენეფიციარი ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემის თარიღიდან ათი თვის მანძილზე.

სერტიფიკატის გაცემის წესი:

1. სერტიფიკატი გაიცემა საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მათი საკუთრების ფორმისა და რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად;
2. სერტიფიკატის გაფორმება ხდება სპეციალურ ბლანკზე;
3. სერტიფიკატის მიღებისთვის ექსპორტიორი წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:
 - ა) განცხადებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საინვესტიციო სააგენტოს სახელზე;
 - ბ) მხარეთა შორის კონტრაქტს (ორიგინალი ან ასლი);
 - გ) ანგარიშ-ფაქტურას (ორიგინალი ან ასლი);
 - დ) საქონლის კუთვნილების ცნობას (ორიგინალი);
 - ე) ექსპერტიზის აქტს საქონლის წარმოშობის შესახებ (ორიგინალი);
 - ვ) საქსპორტო ნებართვის ასლს (იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ექსპორტი ექვემდებარება ნებართვას);
4. სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ დოკუმენტის სრული პაკეტის წარმოდგენის შემთხვევაში;
5. ექსპორტიორზე სერტიფიკატი გაიცემა ერთ ეგზემპლარად, ამასთან, ერთ სერტიფიკატში შეიძლება ჩამოითვალოს სხვადასხვა დასახელების საქონელი, თუ ისინი იგზავნება ერთდროულად;
6. სერტიფიკატის ცარიელი ადგილები უნდა გადაიხაზოს ხელით, მასში დამტკიცების შემდეგ რაიმე დამატების თავიდან აცილების მიზნით;
7. ნებისმიერი სახის შესწორებები და დამატებები სერტიფიკატში დაუშვებელია; შეცდომისას ან მონაცემების შეცვლისას ახალი სერტიფიკატი გაიცემა ადრე გაცემული სერტიფიკატის დაბრუნების შემდეგ;
8. ექსპორტიორი განცხადებისა და მის დანართებში მოყვანილი ცნობების სინამდვილეზე პასუხს აგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9. განცხადების რეგისტრაცია წარმოებს მიღებისთანავე, მოცემული დოკუმენტაციის სრული პაკეტის წარდგენის შემდეგ, სპეციალურ ზონარ გაყრილ და ბეჭდით დამოწმებულ რეესტრის წიგნში, რომლის ყოველი გვერდი უნდა იყოს დანომრილი. იგივე წიგნში წარმოებს გაცემული სერტიფიკატების რეგისტრაცია სათანადო ჩანაწერით;
10. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა „A“ გაიცემა კონტრაქტში დაფიქსირებული ვადების ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს 10 თვის ვადისა;
11. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა „A“ გაიცემა განცხადების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა. უარი საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე უნდა იყოს მოტივირებული (განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში უარის მოტივაცია მას ეცნობება წერილობით);
12. სერტიფიკატი სრულდება ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე დამკვეთის სურვილისამებრ;
13. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემისთვის საჭირო წარმოდგენილი ყველა საბუთი ინახება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 3 წლის განმავლობაში

წამლის რეგისტრაცია

საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ რეგისტრირებული სამკურნალო საშუალების გაცემა-გამოყენება, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა¹⁸.

სამკურნალო საშუალების სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს წამლის სააგენტო. „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით დადგენილია კონკრეტული თანხა სამედიცინო და ვეტერინარული პროდუქციის რეგისტრაციაზე.

სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილი განაცხადი შეიცავს ინფორმაციას მწარმოებლის ან რეგისტრაციის უფლების მქონე სხვა სუბიექტის შესახებ, აგრეთვე სამკურნალო საშუალების საერთაშორისო არაპატენტირებული სახელწოდებისა და სავაჭრო დასახელების, სუბსტანციის, სინონიმების, წამლის ფორმის, დოზის, სრული შემადგენლობის, გაცემის პირობების, გამოყენების წესების, შენახვის ვადისა და პირობების, შეფუთვის თაობაზე.

სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილ განაცხადს თან ერთვის:

1. სამკურნალო საშუალების ხარისხის სერტიფიკატი;
2. მასალები კლინიკამდელი, შესაბამისი კვლევის შედეგების შესახებ;
3. ფარმაცოპიის სტატია ან ფარმაცოპიის სტატიის საწყისი ტექსტი;
4. სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის მეთოდების აღწერილობა;
5. ცხოველთა მკურნალობისთვის განკუთვნილი სამკურნალო საშუალების რეგისტრაციისას¹⁹ – ვეტერინარული კვლევის შედეგები;
6. სამკურნალო საშუალების ნიმუშები – ხარისხის ექსპერტიზის ჩასატარებლად;
7. სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ იგი რეგისტრირებულია საქართველოს გარეთ;
8. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სამინისტრო მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს 4 თვისა იღებს გადაწყვეტილებას სამკურნალო საშუალების რეგისტრაციის ან მის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. უარის თქმის შესახებ წერილობით ეცნობება განმცხადებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღეში.

რეგისტრაციის გამარტივებული (დანიჭარებული) პროცედურა გამოიყენება გენეტიკური მედიკამენტების, საქართველოში უკვე რეგისტრირებული ორიგინალური სამკურნალო საშუალებების ანალოგიური საშუალებებისა და ჰუმანიტარული მიზნით შემოტანილი სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციისათვის.

- ✓ **სამკურნალო საშუალებების მიმოქცევა საქართველოში ნებადართულია მისი სახელმწიფო რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში.**
- ✓ **აკრძალულია არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალების რეკლამა.**

რეგისტრაციას არ ექვემდებარება:

1. ფარმაცევტული სუბსტანცია;
2. დაუფასოებელი შუალედური ფარმაცევტული პროდუქტი;
3. მაგისტრალური²⁰ და ოფიცინალური²¹ რეცეპტებით აფთიაქში მომზადებული წამლები.

